პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 191 (12703) | პარასკევი, 16 აგვისტო, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ТБИЛИСИСЪ № 1 ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა წლის პირველი ნახევრის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ავტომანქანა შეაკეთა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: მექანიკური საამქროს უფროსი თეიმურაზ კვარაცხელია (მარჯვნივ) ამოწმებს მოწინავე მხეხავის სერგო მურადიანის მიერ დამზადებულ დეტალის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲒᲠᲣᲜᲐᲕᲘ. ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის დღევანდელი შრომისა და ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამკვრელი უბანია ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. ჩვენში არ არსებობს ოჯახი, რომლის ფიქრი და ზრუნვა სკოლის გარშემო არ ტრიალებდეს. ეს ბუნებრივიც არის. ყველა ოჯახშია მოსწავლე, ხოლო არც ისე იშვიათად — მასწავლებელი. ოთხი ათას ორას ორმოცდათვრამეტ მარტო დაწყებით და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაირეკება სექტემბრის ზარი. ეს ზარები მოუხმობენ 800 ათას მოსწავლეს. ამას თუ მივუმატებთ სხვა ტიპის სკოლების მოსწავლეებს და მასწავლებლებს, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა დიდი არმია შევა საკლასო ოთახებში.

როგორ სტუმართმოყვრულად, როგორ მომზადებული ხვდება ამ არმიას სკოლა? — აი ეს არის ახლა საზრუნავი და საფიქრალი.

წელს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს სასკოლო შენებლობაში, ვიდრე წინა წლებში ამ პერიოდისათვის გვქონია. ყოველწლიურად დიდდება და კერძოდ წელს გადიდდა სასკოლო შენებლობის ობიექტების რიცხვი. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 38 ახალი კეთილმოწყობილი შენობა სტუმართმოყვრულად გაუღებს კარებს მოსწავლე ახალგაზრდობას, აღმზრდელ პედაგოგებს. თანმიმდევრულად, ბეჯითად მიმდინარეობს მუშაობა სკოლებში ერთ ცვლად მეცადინეობის პირობების შესაქმნელად. დიდი ძვრები მოხდა რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებაში, სკოლების მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზების შემდგომ განმტკიცებაში.

მიღწეულია ახალი წარმატებანი მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი-პოლიტექნიკური მომზადებისა და საწარმოო სწავლების გაუჯობესებაში.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ ცნობილი კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი საუკეთესო შედეგია ის, რომ მნიშვნელოვნად გაუჯობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება საწარმოო ჩვევების დაუფლებისადმი. ძნელია თუნდაც მცირედი ნაწილი ჩამოთვალოთ აქ იმ დიდი მიღწევებისა, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ პარტიის, მთავრობის, მთელი ხალხის დაუღალავი ზრუნვით სკოლის ფრონტზე მოიპოვა.

წარმატებანი რომ უფრო მეტი გვქონდეს, სკოლის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები რომ უკეთ გადაწყვეტოთო, ამისათვის სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ დროულად და კარგად, ორგანიზებულად მოვამზადებთ სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის. საბჭუსაროდ, დღეისათვის ქმბას ვერ ვეტყვით ყველა ჩვენს მშენებელს — ეს ვერ დაიმახსოვრეს მათ მთელი რიგი ობიექტების ჩამორჩენის გამო. ყველაფერში, მთლიანად ქების ღირსი არ არიან სახელმძღვანელოთა გამომცემელი დაწესებულებები და საწარმოები, წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები — გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს.

პარტია გვასწავლის: გეგმა კანონია. ამ დებულებას სასკოლო შენებლობის ყველა ობიექტზე როდი ასრულებენ. აბა ჰკითხონ თავიანთ თავს მშენებელმა ამხანაგებმა — განა პირველ აგვისტოს ჩასაბარებელ ყველა ობიექტზე დაამთავრეს სამუშაოები თუნდაც დღეისათვის?! ცხადია, არა. პირველ აგვისტოს კი უნდა დამთავრებულიყო სასკოლო შენობების მომზადება ფასანაურში, რუსთავში, თბილისის ლენინის რაიონში, სკოლა-ინტერნატის რეკონსტრუქცია ახმეტაში, თიანეთში; ახალციხეში უნდა დამთავრებულიყო სკოლა-ინტერნატის კომპლექსი.

ძნელია, მაგრამ დარჩენილ დროში ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების შენობები მთავრობის მიერ დაწესებულ საკონტროლო ვადებში დამთავრდეს.

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს — ეს როდი ნიშნავს მარტო შენობებით უზრუნველყოფას. სასკოლო ინვენტარი, ავეჯი, კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნობები, იარაღები, ხელსაწყოები — ყველაფერი ეს დროულად უნდა იქნას მიზიდული, დალაგებული. სამწუხაროდ, ახლაც სოფლად თუ ქალაქად გაისმის წუხილი ამა თუ იმ სახელმძღვანელოს უქონლობის გამო. პირველ სექტემბრამდე კი დღეებიღა დარჩა. გამომცემლობა „ცოდნამ“ და მისმა პოლიგრაფიულმა ბაზებმა, რომლებმაც ესოდენ დიდი მუშაობა გასწიეს საერთოდ, არც ამ დღეებში უნდა დაზოგონ ენერგია მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, წიგნის ტირაჟების დასამთავრებლად.

წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იმისათვის, რომ დაბეჭდილი სახელმძღვანელოები დროზე მიიტანონ ადგილებზე. არც ერთი დღე საწყობებში, უმოძრაოდ! წიგნი — მომხმარებელს!

გაზეთ „კომუნისტში“ გაკრიტიკებული იყვნენ სამხრეთ ოსეთის, თელავის, თბილისის ზოგიერთი სკოლის მშენებლები, განათლების ორგანოები ახალი სასწავლო წლისათვის სუსტი მზადების გამო. ზოგი მათგანისგან ჯერ პასუხი არა ჩანს. მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ სკოლების ყოველმხრივ მომზადების საქმეს. დარჩენილ დროში უნდა დაჩქარდეს სკოლების მშენებლობა, შეკეთება და მოწყობა, გადაიჭრას ბავშვების დაშორებულ სკოლებში მიყვანისა და სკოლებიდან შინ წაყვანის, მათი კვებისა და უოფაცხოვრების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

რედაქციას მოსდის სიგნალები, რომ ზოგან მასწავლებლების საყოფაცხოვრებო პირობებისათვის ზრუნვა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. მასწავლებელი მთავარი ფიგურაა სკოლაში, იგი ჩვენი ნორჩი, მოზარდი თაობის აღმზრდელია. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ დადგენილი წესის მიხედვით მასწავლებელთა საბინაო, გათბობის, განათების და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად.

სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი სკოლის გარეთ! ეს პრობლემა წელს მტკიცედ უნდა გადაიჭრას. საყოველთაო სწავლებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მაგრამ მათ მხარში უნდა ედგნენ და ეხმარებოდნენ პარტიული, კომკავშვრული, ორგანიზაციები, სახალხო განათლების ორგანოები. მიღწეულ უნდა იქნას, რომ წელს რესპუბლიკაში ყველგან ყველა ბავშვი სწავლობდეს.

დრო ცოტა დარჩა, გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია. სკოლისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმეა. არავინ არ უნდა დაიშუროს დრო, ენერგია, სახსრები ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების საუკეთესოდ მოსამზადებლად.

საქმე ეხება ჩვენი თაობის, ჩვენი შვილების კომუნისტურ აღზრდას.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ნიკოპოლელ თანამოსაქმეებთან შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჭიათურელი მაღაროელები. პირველი და მეორე კვარტალის მაჩვენებლებით მარგანეცის ტრესტმა რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ამ დაფასებამ მაღაროელებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 10 აგვისტოსათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების რვა თვის დავალება და სექტემბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს ათეულ ათას ტონობით მარგანეცი გაუგზავნა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები, რომლებიც ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲡ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ლ. მაღლაფერიძე) უკვე მიიღო და გადამუშავა 1.300 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ეს 15 ტონით მეტია, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

სეზონის დაწყებიდან 1 აგვისტომდე ფაბრიკამ გამოუშვა 229 ტონა მზა პროდუქცია, რითაც დაკავება 140 პროცენტით შეასრულა. განვლილ პერიოდში უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამომუშავამ გეგმით გათვალისწინებული 83,1 პროცენტის ნაცვლად 89,1 პროცენტი შეადგინა. ამის შედეგად ფაბრიკამ 6.870 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲦᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). სამეურნეო წლის მეორე ნახევარი გამართულად დაიწყო მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საწარმოო დავალებას გადამეტებით ასრულებს.

მარტო იულისში გეგმის გადაჭარბებით ჩამოსხმულია 300 ათასი ბოთლი ბორჯომის წყალი. აღებული მაღალი ტემპი აგვისტოშიც არ ნელდება. ყველაზე მოწინავეები არიან ის ბრიგადები, რომლებსაც ა. ხარაზიშვილი და გ. ქელეხსაშვილი ხელმძღვანელობენ. ჩამომსხმელები გ. ჭადაშვილი, ლ. ქართველიშვილი, მ. ხარაზიშვილი, მ. ზინიკაშვილი და სხვები ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პროცენტით ანაღღებენ.

ᲛᲐᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲛᲐ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს კიმ ირ სენსა და ციო ენ-გენს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომლითაც მხურვალედ ულოცავენ კორეელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების 18 წლისთავს.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს ყოველთვის ჰქონდათ მტკიცე მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად ედო მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება, რათა გაიმარჯვოს კომუნიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმემ.

საბჭოთა კავშირის მშრომელები სულითა და გულით უსურვებენ თავიანთ კორეელ ძმებს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მათს სამართლიან ბრძოლაში სამხრეთ კორეიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გაყვანისა და დემოკრატიულ საწყისებზე კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

(საკადესი).

ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 აგვისტო, (საკადესი). კორეელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — კორეის განთავისუფლების 18 წლისთავს მიეძღვნა მოსკოვის საზოგადოებრიობის კრება, რომელიც გუშინ გაიმართა „პრავდის“ კულტურის სახლში.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. გორშკოვი თავის სიტყვაში მიესალმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს ლი სონ უნს, საელჩოს მუშაკებს, რომლებიც კრებაზე მოვიდნენ.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, კორეის განთავისუფლების მონაწილემ გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. გ. ლებედევმა.

მოსკოველ მშრომელთა სახელით კორეელ მეგობრებს მხურვალედ მიულოცეს ეროვნული დღესასწაული „პიროტპროექტის“ ინჟენერმა ვ. ვ. გოროდეევმა და ახალგაზრდა მშენებელმა მუშამ მიხეილ ხომიაკოვმა.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სიტყვას, რომელიც წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლი სონ უნმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეელი ხალხი უფრთხილდება მეგობრობასა და შეკავშირებას საბჭოთა ხალხთან, რომლებსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, და თავის წმინდად მოვალეობად მიაჩნია განამტკიცოს მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხთა შეკავშირება. კორეელი ხალხი კალთაგაც დაიცავს სოციალისტური ბანაკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობასა და შეკავშირებას, ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიცვას მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდე, აქტიურ წვლილს შეიტანს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეში.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 15 აგვისტო. (საკადესი). სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ვალენტინა ტერეშკოვას მიენიჭა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური შრომის გმირის წოდება ხანგრძლივი კოსმოსური ფრენისათვის.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ პრაღის კრემლში დღეს ვალენტინა ტერეშკოვას გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ᲞᲠᲐᲦᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ.

ᲞᲠᲐᲰᲐ, 15 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი ი. მასლენიკოვი იტყობინება: სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა ზეიმით შეხვდა დღეს მსოფლიოს პირველ კოსმონავტ ქალს ვალენტინა ტერეშკოვას, რომელიც ამ ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პრეზიდენტ ანტონინ ნოვოტნისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით. ვალენტინა ტერეშკოვას ახლავს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. კამანინი.

11 საათზე მოსკოვის დროით ვერცხლისფერი ლაინერი „ტუ-124“ დაეშვა აეროპორტის შენობასთან. მალე გამოჩნდა მომღიმარი ვალენტინა ტერეშკოვა. აეროდრომზე გაისმა მძლავრი „ვაშა“. ათასობით ადამიანი გაიძახის: „ვალენტინა“, „გმირი“, „კოსმოსი“. შემხვედრნი გულთბილად მიესალმებიან ტერეშკოვას, უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს. ბავშვებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს კოსმონავტს.

ვალენტინა ტერეშკოვა მიესალმა ჩეხოსლოვაკიის მინისტრებსა და საზოგადო მოღვაწეებს, დიპლომატიური კორპუსის წევრებს.

მანქანების კორტეჟი აეროდრომიდან ქალაქისაკენ გაემართა. კოსმოსის გმირი ღია მანქანაში დგას და მიესალმება ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მცხოვრებლებს. ტრასა მთელ პრაღაზე გადის. და მთელ გზაზე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მცხოვრებლები აღტაცებული ხვდებიან კოსმონავტს. რაც უფრო უახლოვდებიან ქალაქის ცენტრს, მით უფრო მეტი ხალხია ქუჩებში და მოედნებზე. მანქანები ძლივს იკაფავენ გზას ადამიანთა კორიდორში, რომელიც სტაქიურად შეიქმნა ტრასის ორივე მხარეზე. ხალხია ქუჩებში, აივნებზე, სახლების სახურავებზეც კი და ხელის ქნევით მიესალმება კოსმოსავტს.

აი ქალაქის ცენტრალური ნაწილი — ვაცლავის მოედანი. აქ ზღვა ხალხია. თითქოს მთელი პრაღა — მოხუცი და ახალგაზრდა — მოსულა აქ ამ უძველეს მოედანზე, რათა ჯეროვანი პატივი სცეს მსოფლიოს პირველ კოსმონავტ ქალს.

თითქმის ორ საათს გაგრძელდა ვალენტინა ტერეშკოვას მგზავრობა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ქუჩებში. „დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა გეზვევა შენ, ძვირფასო ვალიუშა!“ — ამბობენ პრაღის მცხოვრებლები. და ეს სიტყვები მოწმობენ, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღიარებს არა მარტო საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილის გმირობას, არამედ სსრ კავშირის თვალსაჩინო გამარჯვებებსაც კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში, მის დამახასიათებელ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ — „ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲡ“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 აგვისტო. (საკადესი). მოსკოვის „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ეროვნული გამოფენა „ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს“.

აქ მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ვ. ნ. ტტოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირის საკავრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი გულითადად მიესალმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ტ. ჟივკოვის მეთაურობით, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ გამოფენის გახსნაზე.

გამოფენა „ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს“, განაცხადა ამბ. ჟივკოვმა, რომელიც შემდეგ გამოვიდა, თვალსაჩინო შედეგია ბულგარეთის მუშათა კლასის, კოოპერატორი გლეხების და სახალხო ინტელიგენციის გმირული და თავგადებული შრომისა თავისუფალი ცხოვრების 19 წლის მანძილზე. იგი არის ბულგარელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობის სიმბოლო.

ორატორმა ილპპარაკა თავის სამშობლოზე — სოციალისტურ ქვეყანაზე, სადაც განვითარდება მრეწველობა და მსხვილი სოფლის მეურნეობა. ბულგარეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელსაც მტკიცე საერთაშორისო აუტორიტეტი აქვს, იგი დიადი სოციალისტური ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. ბულგარელი ხალხი, აღნიშნაეს ამბ. ჟივკოვი, კანონიერი სიამაყის გრძნობას განიცდის იმის გამო, რომ 1962 წელს ბულგარეთის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა თითქმის 15-ჯერ გადიდდა 1939 წელთან შედარებით. იმ ლა ბულგარეთის მრეწველობა მარტო 18 დღეში უშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც უშვებდა მთელი 1939 წლის განმავლობაში.

ბულგარელი ხალხი დარწმენებულია, რომ საბჭოთა ხალხთან, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ძმური ერთობით მიაღწევს სოციალიზმისა და კომუნიზმის სრულ გამარჯვებას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

დასასრულ ტოდორ ჟივკოვმა საბჭოთა ამხანაგებს გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისა და დახმარებისათვის, რომელიც გამოფენის „ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს“ მოწყობის დროს გაუწიეს.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). ნიკოპოლელ თანამოსაქმეებთან შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჭიათურელი მაღაროელები. პირველი და მეორე კვარტალის მაჩვენებლებით მარგანეცის ტრესტმა რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ამ დაფასებამ მაღაროელებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 10 აგვისტოსათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების რვა თვის დავალება და სექტემბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს ათეულ ათას ტონობით მარგანეცი გაუგზავნა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები, რომლებიც ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან.

ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲔᲡ

15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ — ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲡᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა გუშინ მოკრიფეს 90 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, გუშინწინ — 72 ტონა. სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 8.988 ტონა — შარშანდელთან შედარებით 607 ტონით მეტი. ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური დავალება შესრულებულია 92,9 პროცენტით.

ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ᲐᲮᲣᲨᲘᲡ კოლმეურნეობამ მოკრიფა 349 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 347 ტონისა. ამავე სოფლის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ 253 ტონის ნაცვლად მოკრიფა 256 ტონა. წლიური გეგმა შეასრულა ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ კოლმეურნეობამ. ხაბუნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ᲜᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲛ 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მუხურის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ᲜᲘᲜᲝ თოდუამ 0,25 ჰექტარზე მოკრიფა 3.000 კილოგრამი ნაცვლად 1.500 კილოგრამისა.

წარმატებით შრომობს სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატია ტყეებუჩავა. მას გეგმით უნდა მოეკრიფა 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მოკრეფილი აქვს 7.000 კილოგრამი.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲛᲐ მეჩაიეებმა სულ მოკრიფეს 8.297 ტონა ჩაის ნედლეული, გუშინ კი 77 ტონა. შარშანდელთან შედარებით 488 ტონით მეტია მოკრეფილი. წლიური დავალება შესრულებულია 88,3 პროცენტით, აგვისტოსი — 30,7 პროცენტით.

წლიური გეგმები ყველაზე ადრე შეასრულეს ᲥᲕᲘᲐᲜᲘᲡ, ᲥᲝᲜᲐᲒᲠᲠᲘᲡ, ᲩᲝᲚᲝᲒᲐᲠᲘᲡ, ᲚᲐᲨᲘᲡᲚᲔᲚᲘᲡ, ᲨᲝᲛᲚᲔᲗᲘᲡ, ᲨᲣᲮᲣᲗᲘᲡ კოლმეურნეობებმა. ჩაის კრეფაში თავი ისახელა ეწერის კოლმეურნეობის წევრმა ᲓᲐᲠᲘᲙᲝ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, მან მოკრიფა 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 კილოგრამისა. დღეში კრეფს 70 კილოგრამს. ᲨᲣᲨᲣᲜᲐ ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔᲛ მოკრიფა 4.600 კილოგრამი ნაცვლად 4.200 კილოგრამისა. ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲐᲜᲗᲐᲫᲔᲛ მოკრიფა 2.900 კილოგრამი. წლიური გეგმა კი 2.500 კილოგრამის მოკრეფას ითვალისწინებდა.

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — ახალი საყაროს უდიდესი ხუროთმოძღვრის განუმეორებელი სახე ჩანს მის ბეგნიალურ შრომებში, ძრავალ დოკუმენტსა და იმათ მოგონებებში, ვისაც ბედნიერება ხვდა წილად შეხვედროდა ილიჩს, აგრეთვე ფოტოსურათებსა და კინოკადრებში, რომლებიც გადაღებულია მისი სიცოცხლის დროს.

ვ. ი. ლენინის ფოტოსურათების უნიკალური ფონდი ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. ამ ფოტოსურათების ნაწილი გამოქვეყნებულია ალბომში, რომელიც გამოსცა სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობამ. ალბომს ეწოდება „ლენინი“ და იგი დაკავშირებულია ისტორიულ თარიღთან — რსდმპარტიის II ყრილობის 60 წლისთავთან.

ვლადიმერ ილიას-ძეს თავისი მოუცლელობისა და უდიდესი თავმდაბლობის გამო არ უყვარდა სურათების გადაღება. აი რატომ მოაღწია ჩვენამდე შედარებით მცირე რაოდენობით სურათებმა და რამდენიმე ასეულმა მეტმა კინოფირმა, რომლებზეც აღბეჭდილია ილიჩის სახე.

ალბომში გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის ცხოვრების რევოლუციამდელი პერიოდის ამსახველი რამდენიმე ფოტოსურათი. არ არის პირველი რუსული რევოლუციის პერიოდის ლენინის არც ერთი ფოტოსურათი. მხოლოდ რამდენიმე ფოტო ეკუთვნის 1917 წელს. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ლენინის პირველი სურათებია პორტრეტები, რომლებიც გადაღებულია სმოლნში 1918 წლის იანვარში. კრებულში მოთავსებული ფოტოსურათების უმრავლესობა ასახავს ვლადიმერ ილიას-ძის მრავალმხრივ მოღვაწეობას როგორც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელისა. ბევრ მათგანზე ილიჩი გადაღებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელებთან ერთად.

ალბომში მოთავსებული 60 ფოტოსურათი წარმოადგენს ბელადის ცხოვრების მოკლე ფოტომატიანეს. ფოტოსურათები, რომლებზეც სამუდამოდ აღბეჭდილია მთელი კაცობრიობისათვის ძვირფასი სახე, წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ და მხატვრულ ფასეულობას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 15 აგვისტო (საკადესი). 56 ნობელის პრემიის ლაურეატ ამერიკელ მეცნიერთაგან 35 მეცნიერმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატს მოუწოდა მოახდინოს რატიფიკაცია ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ.

ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ იწონებენ მოსკოვის ხელშეკრულებას. ჩვენ მიგვაჩნია, — ხაზს უსვამენ ისინი განცხადებაში, — რომ ეს ხელშეკრულება „წონ გადადგმული ნაბი

კომუნისტი

ფასების კონტროლით!

ბრიგადისა და ჯგუფის კონტროლიორის ბლოკნოტი №5

ᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ:

△ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲣᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ 750 ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ ᲨᲣᲒᲜᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ.

△ ᲓᲐᲯᲐᲛᲣᲐᲠᲓᲗᲘ ᲬᲘᲡᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲕᲔᲗ ᲐᲗᲘᲡᲐᲙᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲓᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲔᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

△ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲪᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲐᲡ—ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

△ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲢᲐᲛᲘᲨᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲡ

△ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ? ᲬᲔᲡᲘᲠᲘᲗ — ᲡᲐᲒᲘᲚᲔᲗᲝ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲮᲣᲭᲐᲕᲔᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲛᲝᲬᲧᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲯᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲯᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲛᲮᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ, ᲣᲪᲘᲐᲠᲚᲘᲧᲝᲤ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲗ ᲯᲐᲭᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲯᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲝᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞ

ეკრანზეა „რუსული სასწაულის“ ორივე სერია

სიმღერა კომუნიზმის მშენებლებზე

ძნელია ილაპარაკო ისეთ ფილმზე, რომელიც სულის სიღრმემდე გაღელვებს ადამიანს, გზიბლავს და გატყვევებს მისი სიდიადე. სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჭიერი კინომოღვაწეების ანელი და ანდრე ტორნდაიკების მიერ შექმნილი ახალი მხატვრულ-დოკუმენტური სურათი „რუსული სასწაული“ (ამ დღეებში უკვე მეორე სერიაც ვნახეთ).

ეს ფილმი შესანიშნავი მოვლენაა მსოფლიო კინოხელოვნებაში. ის მხატვრულად მკაფიოდ, ისტორიულად სწორად, დიდი სიღრმითა და პუბლიცისტური მგზნებარებით მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის დიად გმირობებზე, კომუნიზმის სიდიადეზე, სიმართლით ასახავს იმ ისტორიულ გზას, რომელიც განვლეს სხვა ქვეყნის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ფილმი მოიცავს ისტორიულ პერიოდს ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან იმ დღეებამდე, როდესაც საბჭოთა ადამიანის გენიამ გაბედულად შეაღო კოსმოსის კარი და პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი გმირულ შემოქმედებით შრომას ეწევა კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე ფილმის ის კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ რევოლუციამდელ რუსეთს, კავშირის ხალხებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

სურათის თვითეული კადრი, თვითეული ეპიზოდი გამსჭვალულია ღრმა აზრითა და მაღალი იდეურობით. ფილმის ავტორები კარგად იცნობენ საბჭოთა სინამდვილეს, ეყრდნობიან და იყენებენ მხოლოდ უაქტებს, ასახავენ ნამდვილ ამბებს. პირველიდან უკანასკნელ ეპიზოდამდე აქ ყველაფერი ერთ იდეას ემსახურება — უჩვენონ რა მოხდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რა უდიდესი სასწაული მოახდინეს საბჭოთა ადამიანებმა.

ფილმი ეხება ისტორიულ პერიოდს ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან იმ დღეებამდე, როდესაც საბჭოთა ადამიანის გენიამ გაბედულად შეაღო კოსმოსის კარი და პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი გმირულ შემოქმედებით შრომას ეწევა კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე ფილმის ის კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ რევოლუციამდელ რუსეთს, თვითმპყრობელობის საშინელ რეჟიმს, რუსეთის იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე გამეფებულ გამოუთქმელ ხიზრიზებსა და ჩამორჩენას. მოჩანს გაჩანაგებული სოფლები, უცნაურთის კონცესიები, სადაც არაადამიანურ შრომას ეწევიან ლუმპაურის საშოვნელად გადმოსვენილი ადამიანები. მაყურებელს აძრწუნებს ქვანახშირის მაღაროებში მომუშავეთა საშინელი ტანჯვა.

დოკუმენტური კადრები გვიჩვენებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმწიფის შემქმნელის, მშრომელთა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მგზნებარე გამოსვლებს მშრომელებთან. ჩვენს თვალწინ გაივლის ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი წლები. ლენინმა შექმნა პარტია, რომელიც გახდა მშრომელთა ავანგარდი, შეუპოვარი მესაჭე. კომუნისტურმა პარტიამ დარაზმა ხალხი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად და 1917 წლის ოქტომბერში დაამხო ცარიზმი.

მაყურებლის თვალწინ იშლება სამოქალაქო ომის მძიმე დღეები, როდესაც თეთრგვარდიელებთან და ინტერვენტებთან გაგაფრებულ ბრძოლებში წყდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსა და რევოლუციის ბედი.

სურათზე კადრები „რუსული სასწაულიდან“.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ხალხი შეუპოვარ გმირულ შრომას ეწევა გაპარტახებული ფაბრიკებისა და ქარხნების აღსადგენად.

ფილმი „რუსული სასწაული“ წარმტაცი სიმღერაა კომუნიზმის მშენებლობაზე, პოემაა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლებსა და სახელოვან გამარჯვებებზე, მის გმირობასა და მამაცობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამ შესანიშნავი ფილმის შექმნისათვის კინორეჟისორები ანელი და ანდრე ტორნდაიკები დაჯილდოებულ იქნენ მაღალი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

უკვე მილიონობით ადამიანმა ნახა ეს შესანიშნავი სურათი, ნახა ის უდიდესი წარმატებები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა მოკლე ისტორიულ პერიოდში, დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ნ. ფველიძე.

ოსკარ ნიმეიერს გადაეცა ლენინური პრემია

ბრაზილია, 15 აგვისტო, (საკლესი). გუშინ აქ საზეიმო ვითარებაში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა ნიჭიერ ბრაზილიელ არქიტექტორს, ლათინური ამერიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლს ოსკარ ნიმეიერს.

ლაურეატის დიპლომისა და მედლის გადაცემისას „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი გულთბილად მიესალმა ოსკარ ნიმეიერს და მიულოცა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდების მინიჭება და მშვიდობის მილიონობით მომხრის სახელით უსურვა ჯანმრთელობა, პირადი ბედნიერება და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი. თქვენი მოღვაწეობის საერთაშორისო აღიარება, უთხრა დ. ვ. სკობელცინმა ლაურეატს, ნიშნავს არა მარტო თქვენი პიროადი დამსახურების ღირსეულ შეფასებას, არამედ მთელი ბრაზილიელი ხალხის დიდი წვლილის აღიარებას ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

ლაურეატს მიეღოცეს მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით პროფესორმა ხერონ ალენკარმა, მშენებელთა პროფკავშირის პრეზიდენტის სამოქალაქო კანცელარიის უფროსი დარსი რიბეიერო. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ოსკარ ნიმეიერმა.

ნერუს განცხადება

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც გუშინ გამოვიდა პარლამენტში იმ საკითხზე, რომ ამას წინათ დადებულია შეთანხმება რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“, აღნიშნა, რომ „ეს შეთანხმება არ შეესაბამება ჩვენს პოლიტიკას, და თუ მას განვახორციელებთ, იგი ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობას სადავოდ გახდის არა მარტო ინდოეთში, არამედ ზიანს მიაყენებს ჩვენს მთავარ მიზანს — წინააღმდეგობა გავუწიოთ ინდოეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას, რასაც ჩინეთის რადიო ეწევა.

ჩვენ აღვძარით ეს საკითხები ამერიკის ხელისუფალთა წინაშე და მათთან ერთად განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება აღმოიფხვრას ზემოთ აღნიშნული სიძნელეები. ყოველი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს ძირითად პოლიტიკას“.

მტკიცდება მეგობრობა

დელი, 14 აგვისტო. (საკდესი). „ჩვენი გული აღსავსეა მეგობრობის, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი იმ კეთილშობილური წვლილისათვის, რომელიც მათ შეაქვთ ბრძოლაში მშვიდობისათვის, საყოველთაო განიარაღებისა და კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის“, — განაცხადა დელის ყოფილმა მერმა არუნა ასაფ ალიმ, — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოზე, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს. არუნა ასაფ ალიმ აღნიშნა, თუ რა წვლილი შეაქვთ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. ნერუს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობის განმტკიცებისა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. „საბჭოთა კავშირი გულწრფელად დაინტერესებულია ხალხთა შორის მშვიდობითა და მეგობრობით, — თქვა ამ საღამოზე ინდოეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დ. ნ. გოელმა. — საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის დაეცხრომელ შეკადინებას მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის თავისი შედეგი მოაქვს. მოსკოვის ხელშეკრულებამ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ დაამსხვრია ცივი ომის ყინული და მოგვიახლოვა კოეგზისტენციის ნორმალური ურთიერთობანი“.

ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს ადვოკატმა ა. ს. ჩარიმ გააცნო საღამოზე შეკრებილთ სსრ კავშირში კომენდანტის აშენების პროგრამა. „საბჭოთა ადამიანები, — განაცხადა მან, — იცხოვრებენ კომუნისტურ საზოგადოებაში, ყველაზე სამართლიან საზოგადოებაში დედამიწაზე“. ა. ს. ჩარიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს საერთო მიზნები აქვთ მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლაში.

ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობა

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). „ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობა ეფუძნება ორ ფუძეს: ერთ-ერთი ფუძე ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობა ეფუძნება

სპარტაკიადა აღწევს გენიტს

□ წყალბურთში ჩემპიონობას მოსკოველებს უწინასწარმეტყველებენ. □ ნონა გაფრინდაშვილი დაუმარცხებლად იბრძვის. □ მოსკოველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 158 მედალი, აქედან 64 ოქროს მედალია.

მოსკოვი. 15 აგვისტო. (ტელეფონით). ერთი დღის შესვენების შემდეგ კალათბურთელებმა განაახლეს ბრძოლა. დიაწყო დასკვნითი შეხვედრები. ყურადღებას იპყრობს იმ გუნდების პაექრობა, რომლებიც პირველ ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ.

დღეისათვის ლიდერები არიან მოსკოვისა და უკრაინის ვაჟთა გუნდები, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

საქართველოს ვაჟთა გუნდი მე-7-12 ადგილებისათვის იბრძვის. გუშინ მან დაამარცხა ყაზახეთის კალათბურთელები 79:46.

საქართველოს ქალთა გუნდი მესამე ფინალურ ჯგუფში თამაშობს.

ფრენბურთელებმა განაახლეს პაექრობა. საქართველოს ვაჟთა გუნდი უკრაინის, ლენინგრადის, მოსკოვის, ყაზახეთისა და რსფსრ კოლექტივებთან ერთად განაგრძობს ბრძოლას პირველი ექვსი ადგილისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი მეორე ფინალურ ჯგუფშია, ანუ მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისათვის იბრძვის. გუშინ მან მოუგო ლიტვის გუნდს 3:2 (5:15, 15:7, 9:15, 15:8, 16:14) და თავისი ჯგუფის ლიდერთა რიგებშია.

ადრე წყალბურთში ოქროს მედლების საკითხს მოსკოვისა და საქართველოს გუნდების მაჯს უკავშირებდნენ. სპეციალისტები ახლა თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოს წყალბურთელებთან გამარჯვების შემდეგ მოსკოველებს გზა გახსნილი აქვთ ჩემპიონობისაკენ. როგორც აღვნიშნეთ, მოსკოველებს 4 ქულა აქვთ, საქართველოს, ლენინგრადისა და უკრაინის გუნდებს ორ-ორი ქულა, აზერბაიჯანისა და რსფსრ წყალბურთელებს თითო ქულა.

ფინალურმა თამაშმა მეტი სიმწვავე შეიტანა არა მარტო კალათბურთის, წყალბურთისა და ფრენბურთის შეხვედრებში, არამედ ჭადრაკშიც. მსოფლიოს ჩემპიონს ტ. პეტროსიანს ამოსუნთქვაც კი არ აცალეს დასკვნითი ტურნირის სტარტზე. მას ფარხმალი დააყრევინა კორჩნოიმ, გუშინ საღამოს კი ჩემპიონის ტიტულს არც გელერი მოერიდა და პარტია გადადო თავისთვის უკეთეს პოზიციაში. ერთადერთი, ვისაც ტურნირზე დაუმარცხებლად ვხედავთ, არის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც შვიდი გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ და თავის გუნდს 7 ქულა შესძინა. როგორია პირველ ფინალურ ჯგუფში მონაწილე გუნდების მდგომარეობა დღეისათვის?

ლიდერია რსფსრ მოჭადრაკეთა კოლექტივი, — საქართველოს გუნდი მეექვსე ადგილზეა.

სპორტის მოყვარულნი ყოველდღიურად საქმის კურსში არიან, თუ როგორია რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივების საერთო მაჩვენებლები. არანაკლებ საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია ლიდერთა ჯგუფში მონაწილე გუნდების მიერ მოპოვებული მედლების საერთო რაოდენობა. ამ მხრივ გუშინდლამდე ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა დედაქალაქის სპორტსმენთა კოლექტივს, რომელმაც 64 ოქროს მედალი მოიპოვა, საერთოდ კი 158. ლიდერს კვალდაკვალ მისდევს რსფსრ გუნდი: 56 ოქროს, 40 ვერცხლის, 58 ბრინჯაოს მედალი; მესამე ადგილზე უკრაინელები არიან — 31 ოქროს, 69 ვერცხლის და 50 ბრინჯაოს მედალი. ლენინგრადის გუნდს როგორც ქულებით, ისე მედლების მხრივ მეოთხე ადგილი უჭირავს. მას 28 ოქროს მედალი აქვს, საერთოდ კი 88. მომდევნო ორი ადგილისათვის პაექრობა მიმდინარეობს ბელორუსიისა და საქართველოს კოლექტივებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხვდათ 5 ოქროს, 8 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი.



გუშინ დილით, შედგა მერვე ფინალური შეხვედრები კრივში, საღამოს კი მეოთხედფინალური ბრძოლები. უმჩატეს წონაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი მოკრივე ნ. ჭიქავა. მან დაამარცხა გასული წლის პრიზიორი უკრაინელი მ. მუხა, გ. ვარდანიანმა (საქართველო), ვ. კრივობოკთან შეხვედრაში დისკვალიფიკაცია მიიღო. ზ. მაჰავარიანი დამარცხდა ა. ტუმინშოთან (ლატვია). წარუმატებლობა განიცადეს აგრეთვე ნ. ამაშუკელმა და რ. აკოფოვმა.

გუნდურ ველოსიპედში ვაჟთათვის 100 კილომეტრზე პირველობა არავის დაუთმეს ლენინგრადელებმა.

დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც გათვალისწინებულია ცხენოსნობის პროგრამით, წინ არიან უკრაინისა და მოსკოვის გუნდები. საქართველოს ცხენოსნებს მეოთხე ადგილი უჭირავთ.

წელს სპარტაკიადაზე მძლეოსნობის პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი თარჯრბენი ქალთათვის 100 მეტრზე. ამ სახეობაში ოქროს მედალი მოიპოვა ნ. კულკოვამ—13,3 წამი.

ცურვაში გუნდურ ლიდერობას არავის უთმობენ მოსკოველები.

დამთავრდა შეჯიბრება წყალში ხტომაში. კოშკურიდან ხტომაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ნ. კრუტოვა, ვაჟთა შორის გ. გალკინი (მოსკოვი).

საქართველოს ხმლით მებრძოლთა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, ჭაბუკთა კოლექტივმა — მე-11.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: საქართველოს წარმომადგენელი იური ფუნესკოვი, რომელმაც ბრასის სტილით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საქედესის ფოტოქრონიკა).

ვის რამდენი ქულა აქვს

I. უკრაინა — 544,5 ქულა.
II. მოსკოვი — 542 ქულა.
III. რსფსრ — 515 ქულა.
IV. ლენინგრადი — 454,5 ქულა.
V. საქართველო — 415,5 ქულა.
VI. ბელორუსია — 369 ქულა.

სპორტის მოსკოვი, ჭადრაკის მოსკოვი

• სალო ფლორი •

მოსკოვი! რა ხშირად არის ჩვენს ეპოქაში მთელი მსოფლიოს, მთელი კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილი ამ დიად ქალაქზე. პოლიტიკურ, მეცნიერულ ცხოვრებაში, ხელოვნებისა და სპორტის სამყაროში მოსკოვი მსოფლიოში პირველ როლს ასრულებს.

ივნისში მოსკოვი შეხვდა კოსმოსის გმირებს — ვ. ტერეშკოვასა და ვ. ბიკოვსკის. ივლისში მოსკოვი „კინოფესტივალისა“ იყო. ახლა — აგვისტოში მოსკოვი სადღესასწაულოდ სპორტულად არის მორთული. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ სპორტსმენები სახალხო დღესასწაულზე — სპარტაკიადაზე.

მოსკოვი დიდი ხანია ჭადრაკის სამეფოს დედაქალაქად, ყოველი კონტინენტის მოჭადრაკეთა მეჭად რომ ითვლება, ეს უეჭველი ფაქტია. თუმცა შარშან საჭადრაკო მოსკოვი ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წოდებით დაობლდა ნონა გაფრინდაშვილის „მიზეზით“.

III სპარტაკიადის ჩემპიონთა ბედი სტადიონებზე, აუზებში, ბილიკებზე წყდება. მოჭადრაკეები — „მჭდომარე ცხოვრების“ ხალხია. საჭადრაკო კონფლიქტი წყდება სსრ კავშირის სპეციალურად შეკეთებულ ცენტრალურ კლუბში, რომლის მისამართი ცნობილია: გოგოლის ბულვარი 14. ამ დღეებში აქ პირდაპირ „მოზღვავებული“ არიან გროსმაისტერები და ოსტატები. საჭადრაკო დღესასწაულზე უკანასკნელი მოფრინდნენ ლოს-ანჯელესის დიდ ტურნირში გამარჯვებულნი ტიგრან პეტროსიანი და პაულ კერესი. 30 წელია საჭადრაკო ამერიკას მსოფლიოს ჩემპიონი არ ენახა (1938 წელს იქ იყო ა. ალიოხინი). ცხადია, რომ ლოს-ანჯელესის შემდეგ პეტროსიანს კიდევ ბევრი მიწვევა ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში, მაგრამ ჩვენმა გროსმაისტერებმა უპასუხეს: „გმადლობთ, არა გვცალია, შინა გვაქვს საქმეები!“.

ლოს-ანჯელესში გამარჯვებულნი პირდაპირ „ხომალდიდან მეჭლისში“ მოხვდნენ, განსაკუთრებით პაულ კერესი, რომელსაც ე. გელერთან თამაში მოუხდა მოსკოვში ჩამოფრენიდან 15 საათის შემდეგ. მოსკოვსა და ლოს-ანჯელესს შორის დროში განსხვავება 10 საათია. ისე გამოვიდა, რომ კერესი ბერლინ ეთამაშებოდა. მართლაც კერესი პარტიის დროს სულ ამოქნარებდა, ბოლოს და ბოლოს ხარისხის დაკარგვა ვერ შეამჩნია და დამარცხდა. აღმოჩნდნენ, რა თქმა უნდა, ბორტი ენები, რომლებიც ამბობდნენ, ეს ლოს-ანჯელესი არ გეგონოთო. ესტონელი გროსმაისტერი მალე „შეეგუა ჰავას“, მეორე ტურში შეხვედრა ყაიმით დაამთავრა, მესამეში კი გაიმარჯვა. ახლა კერესის ძილიც და თამაშიც უკვე მოსკოვის დროით არის!

მსოფლიოს ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა გამოძინისა მოსაწყრო, ვინაიდან პირველ ტურს „საღამოს ცვლაში“ თამაშობდა, და ჯიუტი ფრუნზელი უსტანოვი დაამარცხა.

იქნებ თქვათ: დიდი ამბავი ყოფილაო! არა, ასე როდია. პატარა ყირგიზეთის მოჭადრაკენი ძალიან გაბედულად შეებნენ მოსკოველებს—გიგანტთა გუნდს. მაცი დაკრეტიხინი — ორი ოსტატობის კანდიდატი შეხვდა მსოფლიოს ორ ექს-ჩემპიონს — მ. ბოტვინიკსა და ვ. სმისლოვს. ისინი თითქოს ისე განსხვავდებიან, როგორც ცა დედამიწისაგან. დიახ. მაგრამ ორივე პარტია... ყაიმით დამთავრდა! ამასთან მ. ბოტვინიკი ძალიან კმაყოფილი იყო, ყაიმს რომ მიაღწია. ესეც თქვენი კრეტიხინი ყირგიზეთის მოებიდან. ჭადრაკი სსრ კავშირში სახალხო თამაშია. ჩვენში ყოველ კუთხეში შესანიშნავად თამაშობენ ჭადრაკს.

მოსკოვი მსოფლიოს ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის რეზიდენციაა. თბილისი—ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილის რეზიდენცია. მოსკოვისა და საქართველოს გუნდები, რომლებსაც სათავეში უდგანან ეს შესანიშნავი ნიჭის მოთამაშენი, ერთმანეთს შეხვდნენ მეორე ტურში. მოსკოვის გუნდს „შესანიშნავ ექვსეულს“ უწოდებენ. მართლაც მარტო სახელები — პეტროსიანი - ბოტვინიკი - სმისლოვი - ბრონშტეინი - ავერბახი - ვასიუკოვი — ყოველ მოწინააღმდეგეს შეაკრთობს. მაგრამ ასეთი ხასიათი როდი აქვთ ქართველ მოჭადრაკეებს. ისინი გაბედულად ჩაუბნენ ბრძოლაში, რომელიც ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ეს მატჩი შეიძლებოდა დამთავრებულიყო უდიდესი სენსაციით — გიგანტთა გუნდის — მოსკოველების დამარცხებით!

მეტად „გონებამახვილი“ აღმოჩნდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვი. „ცაატნოტის ფაციფუცში“ მან ყაიმი შესთავაზა შიშოვს. შიშოვი საათს უყურებდა და... დათანხმდა. მას მაშინვე უჩვენეს, რომ ოთხ სვლაში შამათს აღწევდა. „შესანიშნავმა ექვსეულმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი უპირატესობა ცხადყო, მაგრამ „ქალთა ხაზით“ სამივე დაფაზე საქართველომ გაიმარჯვა და მატჩი ყაიმით დამთავრდა — 5:5! ცხადია, რომ 5:5 ყაიმად ითვლება. მაგრამ ამჯერად ეს აუკრძალა საქართველოს სასარგებლოდ ეფუძველებს.

მატჩის შემდეგ (ანალოგიური) ნონა გაფრინდაშვილს. „ნონა, ასეს რას სჩადიხართ? მოსკოვზე ფიქრით და მოსკოველებს კი სცემთ!“ ნონამ მაშინვე მიპასუხა: „მართალია, მაგრამ ჩვენ თბილისზეც ფიქრობენ“. „...ალბათ ნორ, ოქვენ მარტო ხეთ ფიქრობ, ეკაც ფიქრობენ“ — თბილისზე ძალიან ეჯავრა“.

[illegible] ნონა [illegible] ლოს-ანჯელესის [illegible] გასვლის შანსები. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეენება მატჩს ლატვიის გუნდთან, რომელსაც სათავეში უდგას მიხეილ ტალი.

რამდენიმე სიტყვა მიშაზე, ვინაიდან, ბუნებრივია, მისდამი ინტერესს თბილისშიც იჩენენ.

ამ ცოტა ხნის წინათ მიშა ტალმა გააბარა თავისი მრავალი გულშემატკივარი. მან უნგრეთში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში ადვილად დაიკავა პირველი ადგილი. მთელი ორი ქულით გაუსწრო ბრონშტეინს. ბრონშტეინი მოგვითხრობს, რომ ტალი თავისი საუკეთესო. ფორმით თამაშობდა. მოსკოვში ტალს ჯერჯერობით ძალიან ბრწყინვალე წარმატება როდი აქვს. მას აკობა ანატოლი ლუტიკოვმა პატარა მოლდავეთიდან, მეორე დღეს კი ტალმა მეორე დამარცხება განიცადა — ტიგრან პეტროსიანთან. ყოველივე ეს არც ისე საშიშია, მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ ტალი დაღლილი გამოიყურება. განსაკუთრებით არასასიამოვნოა გაცნობოთ, პატიცეემულო მკითხველებო, რომ ტალი ვერა და ვერ აწევებს თავს თამბაქოს. არ არის კარგი!

მიუხედავად დაღლილობისა, მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი კარგ ფორმას გვიჩვენებს. მეოთხე ტურში მან სწრაფად ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლუტიკოვთან. ტიგრანს ამ დღეს აშკარად არ ეცალა ჭადრაკისათვის!“ ოლონდაც! იმ დღეს ხომ სპარტაკიადის გახსნა იყო და „სპარტაკ“ - „შახტიორის“ ფინალური მატჩი შედგა. ტიგრანს სტადიონზე მიეჩქარებოდა და დაეხმარა თავის „სპარტაკს“!

რით დამთავრდება მოჭადრაკეთა შეჯიბრება? თითქმის ყველას მიაჩნია, რომ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს ჩემპიონთა გუნდი — მოსკოვი. მე დარწმუნებული არა ვარ. ეს გუნდი უეჭველად გაიმარჯვებდა საჭადრაკო ოლიმპიადაში. მაგრამ შინ უფრო სერიოზული მეტოქენი არიან, ვიდრე საერთაშორისო საჭადრაკო ბაზარზე. ანგარიში უნდა გაეწიოს ლენინგრადს. განა სამეული კორჩნოი, ტალი, სპასკი ცუდად ისმის? არა, რა თქმა უნდა. სერიოზული მეტოქეა აგრეთვე უკრაინა ე. გელერისა და ლ. შტეინის მეთაურობით.

თვითეული გუნდში, როგორც ცნობილია, სამი მოჭადრაკე გამოდის. მე ყოველთვის პატივისცემით (და ერთგვარი შიშით!) ვეპყრობოდი ქალებს. მას შემდეგ, რაც კოსმოსში ვალენტინა ტერეშკოვას გაფრენა მოხდა, მე, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, რომ ქალებს საერთოდ შეუძლიათ რაღაც გააფუჭონ. მაგრამ საქმის გართულება ქალებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ.

მოსკოვის გუნდში კიდევ... ნონაც რომ შეეყვანათ! აი მაშინ გარანტია მოგცემთ, რომ მოსკოვი გაიმარჯვებს. ისე კი... ვნახოთ.

სწორედ ეს „გაურკვევლობა“ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებულის, ჩემპიონის გარშემო ბევრ რამეს მოწმობს: მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკის ხელოვნება აყვავებულია ყველა რესპუბლიკაში. ნიჭიერი მოჭადრაკენი მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში როდი იზრდებიან. სსრ კავშირი სახალხო ტალანტების ქვეყანაა. ისინი დიდ მოსკოვშიც იზრდებიან და პატარა ზუგდიდშიც.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ძვირფასი შენაძენი

კ. მ. თარგამაძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის ტაქსაციის, ექსპლოატაციისა და ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის გამგემ დოცენტმა კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძემ ამაივე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ტყის მეურნეობის ეკონომიკა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და სამეცნიერო სპეციალური გაბთილების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

— არ არის სწორი ზოგიერთის შეხედულება, რომ რაც უფრო ძველია მონეტა, მით უფრო ძვირფასი და იშვიათია იგი, — ასე დაიწყო საუბარი საქართველოს სსრ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგემ პროფესორმა დ. კაპანაძემ. — აი, მაგალითად, ჩვენ გვაქვს 1.800 ცალამდე კოლხური მონეტები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-III საუკუნეებით თარიღდება, XVII-XVIII საუკუნეებისა კი მხოლოდ 400 ცალი. ამ მხრივ მუზეუმის მიერ ამას წინათ შეძენილი მონეტები საყურადღებოა.

ზნაურის რაიონის სოფელ ღირების მცხოვრებმა გურამ ვლადიმერის-ძე ოქროპირიძემ მუზეუმში მოიტანა 60 ცალი ძველი ფული და ნატეხები თიხის პატარა ჭურჭლისა, რომელშიც მონეტები ყოფილა. ეს განძი მას უპოვნია მიწის დამუშავების დროს. გაწმენდის შედეგად აღმოჩნდა, რომ მონეტები ეკუთვნის XVII-XVIII საუკუნეებს.

— ასეთი სახის მონეტები ამ 25 წლის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობ, ჯერ არავის მოუტანია, — გვითხრა დ. კაპანაძემ. — გასახარი კიდევ ის იყო, რომ ერთი თვის შემდეგ ჩვენი ფონდი შეივსო ამავე საუკუნეების 160 ცალი მონეტით. ეს განძი გადმოგვცა გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურის მცხოვრებმა კოლმეურნე რევაზ კონსტანტინეს-ძე აბესაძემ.

— რას წარმოადგენს ნაპოვნი განძი, რამდენად არის მეცნიერებისათვის საინტერესო? — ვეკითხებით პროფესორს.

— ჩვენთან მიღებული ახალი განძიდან მცირეოდენია უსახელო მონეტები, — გვიპასუხა მან, — რომლებიც XVII საუკუნეს განეკუთვნება. დანარჩენი კი მოჭრილია ვახტანგ VI-ის, სვიმონ მეფისა და ბაქარის დროს. ვახტანგის მონეტაზე გამოსახულია სამანძიანი ხომალდი, სვიმონისაზე — ფრთოსანი გველეშაპი, ბაქარისაზე კი ფარშავანგი.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს, როცა მეფემ დატოვა ქართული და რუსეთს გაემგზავრა, საქართველოს ამ კუთხეს თურქები დაეპატრონენ. ისტორიკოსის თქმით, მაშინ ქართლში დიდი წიოკობა და უბედურება ყოფილა. შეიძლება სწორედ ამ უბედურების დროს დაიმარხა ეს განძი გურჯაანისა და ზნაურის მახლობლად.

იმ კოლმეურნე ახალგაზრდების საქციელი, რომლებმაც მიწაში ჩამარხული მეცნიერულად საინტერესო მონეტები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცეს, მოწონების ღირსია.

ლ. ხუბულური.

კოლმეურნეთა პატრიოტული საქციელი

ბაგსვერდის ტბაზე ბოლო ორ-სამ კვირეულში ადგილობრივ ბინადრებს ბევრი ფრინველი ეფეთებოდა. ეს ფრინველები ადგილობრივ ბინადრებს ადრე ასეთ ადგილებში ნანახი არ ჰქონიათ. ეს ფრინველები ბაგსვერდის ტბაზე ბინადრობენ